



**საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო – საპრეზიდენტო არჩევნები, 28 ოქტომბერი 2018**

მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და მაღალპროფესიულ დონეზე იყო ადმინისტრირებული. კანდიდატებს მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად წარემართათ საარჩევნო კამპანია, ამომრჩევლებმა კი საკუთარი არჩევანის გაკეთება შეძლეს მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ შეინიშნა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიაში სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი მაღალჩინოსანი საჯარო მოხელეების მონაწილეობის შემთხვევები. შემოწირულობებს შორის არსებული საგრძნობი სხვაობა და ხარჯვის მეტისმეტად დიდი მაჩვენებლები ხელს უწყობდა არათანაბარ საასპარეზო მოედნის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი მოსაზრებების წარმოსაჩენად ყველა კანდიდატს დაუთმო თავისი პლატფორმა, კერძო მფლობელობაში არსებული მედია საშუალებების მკვეთრად პოლარიზებულმა ხასიათმა და მწვავე რიტორიკამ და ასევე მოვლენების ანალიტიკურად შეფასების ნაკლებობამ შეასუსტა ამომრჩევლების შესაძლებლობა, გაეკეთებინათ სრულად ინფორმირებული არჩევანი. საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებმაც გაზარდა მართველი პარტიის წარმომადგენლობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე და არასაკმარისმა გამჭვირვალობამ არაპარტიული წევრების შერჩევის პროცესში გააძლიერა მიკერძოებულობის აღქმა. კენჭისყრის დღემ საერთო ჯამში პროფესიონალურად მაღალ დონეზე, მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ ჩაიარა, ხმების დათვლის დროს შემჩნეული ზოგიერთი პროცედურული ხარვეზის, პოლიტიკური პარტიების სახელით მოქმედი ბევრი ადგილობრივი დამკვირვებლისა და მედია საშუალებისა და ასევე საარჩევნო უბნებს გარეთ პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერების მხრიდან ამომრჩეველზე პოტენციური ზემოქმედების მოხდენის მცდელობის მიუხედავად,

საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია და სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად. საარჩევნო კოდექსში 2017 და 2018 წლებში შეტანილი ცვლილებების შედეგად რამდენიმე საკითხის ტექნიკური მხარის გაუმჯობესება მოხდა, კვლავ რჩება გარკვეული უზუსტობები. აგრეთვე, ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებისას არ იქნა გათვალისწინებული, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ევროსაბჭოს რეკომენდაციები, კოდექსში არსებული უზუსტობების აღმოსაფხვრელად, რაც წარმოადგენს დაკარგულ შესაძლებლობას.

არჩევნების ადმინისტრირება ხდება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია უძღვება. ცესკომ დიდი ძალისხმევა გაიღო საარჩევნო კომისიების ქვედა დონეებზე კომისიების წევრთა კომპეტენციის დონის ასამაღლებლად. მას საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების უმრავლესობა ნდობას უცხადებს. რადგან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ გააჩნია მსგავსი საკითხების

რეგულირების შესაბამისი მექანიზმი ქვედა დონეზე არაპარტიულ წევრთა შერჩევის პროცესი არათანმიმდევრულად და გაუმჭირვალედ ჩატარდა.

დარეგისტრირებულია 3.5 მილიონზე მეტი ამომრჩეველი. სახელმწიფო უწყებებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად, საარჩევნო კომისიებმა კი ამომრჩეველებს შესაძლებლობა მისცეს გადაემოწმებინათ საკუთარი პირადი მონაცემები. საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ ეჭვი არ შეაქვთ ამომრჩეველთა სიის სიზუსტეში.

კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალედ და ინკლუზიურად მიმდინარეობდა. საერთო ჯამში 25 კანდიდატი დარეგისტრირდა. აქედან 16 პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინეს, 9 კი დამოუკიდებელი კანდიდატია. თუმცა, სანდო მითითებებზე დაყრდნობით ამომრჩეველთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა იყო შესაძლებელი, აგრეთვე არ არსებობს ხმების ავთენტურობის შემოწმების მექანიზმი. ამ ფაქტმა კანდიდატთა დასახელების პროცესის სარწმუნოების მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად შეამცირა. კამპანიის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ კანდიდატთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დარეგისტრირდა რათა ჰქონოდათ წვდომა სახელმწიფო დაფინანსებასა და უფასო საეთერო დროზე, სხვა კანდადატთა სასარგებლოდ, რაც მათ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა ფუნდამენტური თავისუფლებები დაცულია და მათ მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად წარემართათ საარჩევნო კამპანია. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (ODIHR EOM) დააკვირდა წინასაარჩევნო ღონისძიებების ხელის შეშლის, აგრეთვე პარტიის ოფისებისა და წინასაარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი მასალების დაზიანების მრავალ შემთხვევას. წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას დომინირებდა სადავო თემები, რომელიც იწვევდა საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებას, ნეგატიური კამპანიას, მწვავე რიტორიკას და მძიმე ურთიერთბრალდებებს სახელისუფლებო და ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას შორის. შემფოთება გამოითქვა ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შეგროვების არსებული პრაქტიკისა და აღნიშნული პრაქტიკით გამოწვეული ზეწოლის გამო. სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების არეალში მოექცა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები. ამას გარდა, სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელი მაღალჩინოსანი საჯარო მოხელეების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში ყოველთვის არ შეესაბამებოდა არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც ბუნდოვანს ხდიდა ზღვარს სახელმწიფოსა და პარტიას შორის.

პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ მარეგულირებელი კანონი არ წარმოადგენს ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოს. კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებები არ ითვალისწინებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ დიდი ხნის შემუშავებულ რეკომენდაციებს. კანონი ითვალისწინებს ყველა კანდიდატისთვის კერძო დაფინანსების წყაროს შესაძლებლობას და აგრეთვე სახელმწიფო დაფინანსებას იმ კანდიდატებისთვის, რომლებიც პარტიის მიერ არიან ნომინირებულნი. სესხის აღებისა და კამპანიის დანახარჯების შესახებ ანგარიშის

წარდგენის რეგულაციის ნაკლებობა, პოტენციურად ხელს უწყობს არათანაბარ საასპარეზო გარემოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არჩევნების დღემდე დროულად დაამოწმა და გამოაქვეყნა ანგარიშები. თუმცა, დარღვევის რეაგირებაზე განსაზღვრული ვადების არარსებობა და ინსტიტუტის არასაკმარისი რესურსები, იწვევს შემფოთებას კამპანიის ფინანსების ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დებატების დროს მნიშვნელოვანი საკითხების არასაკმარისმა განხილვამ წინასაარჩევნო კამპანიის ზედპირულმა გაშუქებამ და მკვეთრად პოლარიზებული მედიის მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიშების ნაკლებობამ ამომრჩეველს სრულყოფილად ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა შეუზღუდა. მაშინ, როცა კანონით უფასო საეთერო დრო მხოლოდ პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატებისთვის არის გათვალისწინებული, ორივე საზოგადოებრივმა ეროვნულმა მაუწყებელმა გადაწყვიტა ყველა კანდიდატისთვის ერთი და იმავე ოდენობის უფასო საეთერო დრო დაეთმო და გამართა მრავალი დებატი, სადაც მათ თავისი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა მიეცათ. მედიის მარეგულირებელი ორგანო წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში ჩართვისას ყოველთვის არ ავლენდა გამჭვირვალე და მიუკერძოებელ მიდგომებს. მედია მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა, რომ ბევრი კერძო მედია საშუალება წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას მკვეთრად მიკერძოებული იყო.

საჩივრებსა და სარჩელებს საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლოები ღია და გამჭვირვალე სხდომებზე კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით განიხილავდნენ. საარჩევნო დავების გადაწყვეტის კომპლექსური სისტემა, საჩივრების აღძვრისა და ზოგიერთი გადაწყვეტილების გასაჩივრების შეზღუდული უფლება და ასევე გადაწყვეტილებების გამოტანისას არასაკმარისი სამართლებრივი არგუმენტაცია ზღუდავდა დავების ეფექტურად გადაწყვეტის პროცესს, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბრისას მხარეები საჩივრების გადაწყვეტის სისტემის მიმართ უნდობლობას გამოთქვამდნენ.

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვებას მოქალაქეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მიერ. დამკვირვებელთა აკრედიტაციის პროცესი ინკლუზიურად და პროფესიონალური სტანდარტების დაცვით ჩატარდა. წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ინტენსიური ვერბალური შეტევის ობიექტი გახდნენ მმართველი პარტიის მაღალი თანამდებობის პირებისა და მაღალჩინოსანი საჯარო მოხელეების მხრიდან. თუმცა, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მუშაობამ ხელი შეუწყო პროცესის გამჭვირვალეობის შენარჩუნებას.

კენჭისყრის დღემ საერთო ჯამში პროფესიონალურად მაღალ დონეზე, მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ ჩაიარა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამომრჩეველთა სიებით შეიარაღებული პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერები, რომლებიც საარჩევნო უბნებს გარეთ აღნიშნავდნენ, თუ ვინ მოვიდა ხმის მისაცემად, შემფოთების საფუძველს ქმნის,

რადგან დასჯის შიშის ზეწოლის ქვეშ მყოფ ამომრჩევლებს ეზღუდებათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ხმის მიცემის პროცესი დადებითად შეფასდა, თუმცა, ამაღილობრივი დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების სახელით მოქმედი მედია საშუალებები აქტივობამ, მთელ პროცესზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ხმების დათვლის პროცესი ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა, პროცესის მიმდინარეობისას შემჩნეული პროცედურული ხარვეზების, პროცესის ხელშეშლის მცდელობისა და დამაბულობის გამწვავების შემთხვევების გამო.

წინასწარი მიგნებები

ისტორია

28 ოქტომბერს საქართველოში ბოლოჯერ ჩატარდა არჩევნები პრეზიდენტის პირდაპირი წესით ასარჩევად. 2017 წელს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 2024 წლიდან პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით აირჩევენ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ახლად არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება, რითიც დასრულდა 2010 წელს ინიცირებული¹ საპრეზიდენტო მოწყობიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის პროცესი. ეს ცვლილება საკამათო აღმოჩნდა და საქართველოს პარლამენტმა ის ფართო კონსენსუსის გარეშე მიიღო.²

2016 წელს ჩატარებული ბოლო საპარლამენტო არჩევნები მმართველი პარტიის („ქართული ოცნების“) მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით დასრულდა, რომელმაც პარლამენტში 150 ადგილიდან 115 მიიღო. არჩევნების შემდეგ, წამყვანი საპარლამენტო ოპოზიციური პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 27 პარლამენტიდან ოცდაერთმა „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ ჩამოაყალიბა. 2017 წელს ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ უფრო გაამყარა მმართველი პარტიის პოზიციები, მოიპოვა რა 64-დან 62 მერის მანდატი და უმრავლესობა 64-დან 63 ადგილობრივ საკრებულოში. ამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 2018 წლის ივნისში, პრემიერ მინისტრი გადადგა, ივლისში კი ახალი მთავრობა დაინიშნა.³

¹ ქვეყნის ახლად არჩეული პრეზიდენტი იქნება ქვეყნის წარმომადგენელი საზღვარგარეთ ვიზიტებისას, დანიშნავს სასამართლო ხელისუფლების ზოგიერთი თანამდებობის პირს და ისარგებლებს საკანონმდებლო ვეტოს უფლებით. ამასთანავე, პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალია და ნიშნავს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს.

² პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები არ დაეთანხმნენ ამ ცვლილებებს. პროტესტის მიზნით საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს 2017 წლის 26 სექტემბერს გამართულ კენჭისყრას, რის შედეგადაც ცვლილება მხოლოდ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიიღეს მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა შეძლო. იხილეთ ასევე ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მოსაზრება კონსტიტუციის ცვლილებების მონახაზის შესახებ, კონსტიტუციის ცვლილებების მონახაზის შესახებ როგორც ეს მიიღო პარლამენტმა 2017 წ 23 ივნისს და მოსაზრება 2017 წ 15 დეკემბერის კონსტიტუციური ცვლილებების მონახაზის შესახებ.

³ პრემიერ მინისტრმა თანამდებობიდან გადადგომის მიმართვაში თავისი გადაწყვეტილების მიზეზად დაასახელა პარტიის თავმჯდომარესთან ეკონომიკურ და სხვა ფუნდამენტურ საკითხებზე წარმოშობილი უთანხმოება.

საპრეზიდენტო არჩევნები სოციალური მღელვარების ფონზე ჩატარდა, რაც გამოწვეული იყო 2018 წლის მაისში და ივნისში ჩატარებული ქუჩის პროტესტებითა და მარშებით. აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო ერთი მხრივ მცირეწლოვანთა მკვლელობის საქმეში სასამართლო სისტემის მიკერძოებულობის აღქმით, მეორე მხრივ კი ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს დაკავებულთა მიმართ სასტიკი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებით. ამ დემონსტრაციების საწინააღმდეგოდ ასევე გაიმართა ლგბტ-თემის საწინააღმდეგოდ და თვითგამოცხადებულ ფაშისტთა მარშები. წინასაარჩევნო პერიოდში მედიის ყურადღება მიიპყრო რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის სახელთან დაკავშირებულმა სავარაუდო კორუფციული გარიგებისა და უკანონო ქმედებების ფაქტებმა, რომლებმაც ზეგავლენა იქონია მიმდინარე პოლიტიკურ დებატებზე.⁴

სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო⁵ სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა. . საარჩევნო კოდექსში ამ დროისთვის უკანასკნელი ცვლილებები 2017 წელსა და 2018 წლის ივლისში შევიდა. მათი უმეტესობა ტექნიკური ხასიათისა⁶ იყო და საქართველოს პარლამენტმა ისინი ფართო კონსენსუსის გარეშე მიიღო. აღნიშნული ცვლილებები ნაწილობრივ იზიარებს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) რეკომენდაციებს. ამ ცვლილებების მიხედვით კენჭისყრის დღეს იკრძალება ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შეგროვება, დამკვირვებელთა უფლებამოსილების ვადა გაიზარდა და გასცდა საარჩევნო პერიოდს, ოფიციალური მისამართის არმქონე მოქალაქეები აღარ დარჩებიან ამომრჩეველთა სიის მიღმა, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში კი იკრძალება კანდიდატის მოხსნა.

ბოლოდროინდელი ცვლილებების შემუშავების დროს არ იყო გამოყენებული შესაძლებლობა კანონმდებლობაში ასახულიყო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) და ვენეციის კომისიის რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა: არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვასა და დაფინანსებას, საარჩევნო დავების გადაწყვეტას

⁴ 5 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მთავარმა პროკურატურამ გააკეთეს განცხადება ხსენებულ საქმეებზე მიმდინარე საგამომიებო პროცედურების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო ავთენტიკური. მას შემდეგ ერთ-ერთმა ეროვნულმა მაიწყებელმა უკანონო ქმედების ამსახველი დოკუმენტაცია გამოაქვეყნა. მთავარი პროკურატურა არ დაეთანხმა ამ ბრალდებებს და წარმოდგენილი მასალის ავთენტურობა ეჭვქვეშ დააყენა.

⁵ არჩევნებს უპირველესყოვლისა არეგულირებს 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია, 2011 წელს მიღებული „საარჩევნო კოდექსი“, 1997 წელს მიღებული „კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებები და განკარგულებები.

⁶ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა უმრავლესობა ბოიკოტის მიზნით კენჭისყრებს არ ესწრებოდნენ. ცესკოს რეკომენდაცია ხმების დათვლის პროცედურის გამარტივების შესახებ, რომელიც ODIHR-ის რეკომენდაციებს შეესაბამებოდა, არ იქნა მხარდაჭერილი.

და უფასო საეთერო დროის გამოყენების წესებს.⁷ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლებრივი ჩარჩო საკანონმდებლო ხარვეზებსა და შეუსაბამობებსაც შეიცავს.⁸

2017 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების მიხედვით პრეზიდენტს ამ არჩევნებზე ექვსი წლის ვადით აირჩევენ⁹. კანდიდატს არჩევნების პირველივე ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად „ნამდვილი ხმების“ 50 პროცენტი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ტურის კენჭისყრის შედეგების ოფიციალური გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე ინიშნება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღეს. გამარჯვებულად გამოცხადდება ის კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,637 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგება.¹⁰ არჩევნები არ გამართულა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. 2017 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით შეიცვალა კომისიათა შემადგენლობის ფორმულა და ყველა დონეზე ცამეტიდან თორმეტამდე შემცირდა კომისიის წევრთა რაოდენობა, რამაც კომისიების ყველა დონეზე გაზარდა მმართველი პარტიის წარმომადგენელთა რაოდენობა, რადგან კომისიის ექვსი წევრიდან სამს სწორედ ის ასახელებს¹¹. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრების პროპორციული გადანაწილება ევროპის საბჭოს სტანდარტებთან თანხვედრაშია, ამ ახალმა წესებმა საზოგადოების თვალში მნიშვნელოვნად შეამცირა საარჩევნო კომისიათა მიუკერძოებლობის აღქმა, რაც

⁷ ეუთოს სტამბოლის 1999 წლის დოკუმენტის 25-ე პარაგრაფის მიხედვით ეუთოს წევრმა ყველა ქვეყანამ ვალდებულია აიღოს, რომ გაიზიარებდა ODIHR-ის მიერ არჩევნების შესახებ გაკეთებულ შეფასებასა და რეკომენდაციას.

⁸ რაც მოიცავს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციებს, წინასაარჩევნო აქტივობების მომწესრიგებელ ბუნდოვან რეგულაციებს არჩევნების გამოცხადების დღიდან ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღემდე და დაფინანსების გამოყოფას საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამისთვის.

⁹ შემდგომი საპრეზიდენტო ვადა განსაზღვრულია 5 წლით

¹⁰ ამას გარდა, 10 სპეციალური საუბნო საარჩევნო კომისია ჩამოყალიბდა პენიტენციურ დაწესებულებებში, ერთი კი სტაციონარულ დაწესებულებაში. 55 საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა 39 ქვეყანაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის და ორი უბანი ავღანეთში დისლოცირებული შეიარაღებული ძალებისთვის. ოთხ ქვეყანაში ვერ მოხერხდა საკმარისი რაოდენობის განცხადების დარეგისტრირება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის პოზიციაზე, რის გამოც ცესკომ კენჭისყრის დღისთვის აუცილებელი მოსამზადებელი პროცედურები შეწყვიტა.

¹¹ წარსულში შვიდ პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც ყველაზე მეტ საბიუჯეტო დაფინანსებას იღებდა კომისიის თითო-თითო წევრის დასახელება შეეძლო. ამჟამად, კომისიის წევრების დასახელების უფლება წინა საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებულ ხმების რაოდენობის მიხედვით აქვთ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებსაც საპარლამენტო ფრაქციები გააჩნიათ. „ქართული ოცნება“ კომისიის სამ წევრს ასახელებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველი“ და „პატრიოტთა ალიანსი“ კი თითო-თითოს.

კანონის მოთხოვნაც არის და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს.¹²

პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრების გარდა, საოლქო და საუბნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული ექვსი სხვა წევრიც შედის. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ადერული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოც რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც წევრების შერჩევას საოლქო საარჩევნო კომისიებს ყურადღება უნდა გაემახვილებინათ განმცხადებლებთან წინარე გამოცდილებასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამართულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობაზე და თავი უნდა შეეკავებინათ ისეთი განმცხადებლების შერჩევისგან, რომელთაც გასულ ორ წელში რამდენიმე დისციპლინური სანქცია დაუწესდათ.¹³ ამ ძალისხმევის მიუხედავად, საარჩევნო პროცესში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბრისას აღნიშნეს, რომ კომისიების წევრების შერჩევას გამოვლინდა ნეპოტიზმისა და წევრების პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით დანიშვნის ფაქტები. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრების შერჩევის პროცედურები არ იყო საკმარისად დარეგულირებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით და საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის პროცესი არათანმიმდევრული და გაუმჭვირვალე იყო.¹⁴ უმეტეს შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიული წევრები ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაინიშნენ. 312 საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც პარტიების მიერ დასახელებული წევრები თავმჯდომარეებად აირჩიეს, ისინი „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა.

¹² საარჩევნო კოდექსის 8.21 მუხლის მიხედვით, საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დანიშნველი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. საარჩევნო კომისიების ყველა წევრი დამოუკიდებელი უნდა იყოს და უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და შესაბამისი ქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) 1996 წლის ზოგადი კომენტარი 25, პარაგრაფი 20 ხაზს უსვამს საარჩევნო პროცესის „სამართლიანად, მიუკერძოებლად და დადგენილ კანონმდებლობასთან და პაქტთან შესაბამისობაში“ ჩატარების აუცილებლობას. 2002 წლის ვენეციის კომისიის საარჩევნო ნორმათა კოდექსის“ II სახელმძღვანელო მითითებების 3.1 პუნქტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თანასწორობის გაგება მხოლოდმკაცრ ან პროპორციული შეიძლება იყოს“ და „მხოლოდ მიუკერძოებელ და პოლიტიკური მანიპულირებისაგან თავისუფალ საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება“.

¹³ ცესკოს მონაცემების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების 84 პროცენტს ჰქონდა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის წინარე გამოცდილება, დაახლოებით ერთმა მესამედმა კი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა.

¹⁴ პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიების ზოგიერთმა ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნულმა წევრმა წამოაყენა განმცხადებლებთან გასაუბრების ინიციატივა და რადგან გასაუბრებები არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, ბევრი განმცხადებელი ინტერვიუს არ დასწრებია. „ შერჩევამდე და შერჩევის პროცესში დამკვირვებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია განმცხადებელთა გამოცდილების ან ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ. განმცხადებელთა შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ ინფორმაცია გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩეული წევრების შესახებ. სამუშაოზე აყვანის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ შედგენილი 28 საჩივრიდან 2 დაკმაყოფილდა, 22 არ დაკმაყოფილდა ხოლო 4 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა..“

ამჟამად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამი წევრი ქალია, მათ შორის არის თავმჯდომარეც. ცესკოს მონაცემების მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა თითქმის 64 პროცენტს ქალები შეადგენენ, საიდანაც 36 პროცენტი თავმჯდომარეა. საუბნო საარჩევნო კომისიებში კი ქალთა რაოდენობა 73 პროცენტია. მათ შორის 64 პროცენტი თავმჯდომარეა. ეთნიკური უმცირესობები შედარებით კარგად იყვნენ წარმოდგენილები. ეთნიკურად სომხური მოსახლეობით დასახლებული რაიონების საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ეროვნული უმცირესობები მეტნაკლებად კარგად იყვნენ წარმოდგენილები, ხოლო ერთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში კი მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიებში.¹⁵

ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციამ გამჭვირვალედ იმუშავა. ცესკომ ჩაატარა სხდომები, რომლებიც ღია იყო აკრედიტირებული დამკვირვებლებისა და მედიისთვის. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობის გაძლიერების კუთხით გაცემული ადრეული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების დადგენილებები, განკარგულებები, საჩივრები და ჩატარებული სხდომების ოქმები, ხელმისაწვდომია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო პროცესში ჩართული მხარეების ნდობით სარგებლობდა, ზოგიერთი ოპოზიციურმა საარჩევნო სუბიექტმა და ადგილობრივმა დამკვირვებელმა ეჭვი შეიტანა ქვედა დონის საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობაში კომისიის წევრთა შერჩევისა და კომისიის შემადგენლობის გამო. საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის გასაზრდელად, ცესკოს ინიციატივით შეიქმნა „ეთიკის პრინციპები“, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის კომისიების წევრებმა მოაწერეს ხელი.¹⁶

ცესკოს სასწავლო ცენტრმა დახვეწა ტრენინგების მეთოდოლოგია და ყურადღება გაამახვილა ქვედა დონის კომისიების წევრთა და ხელმძღვანელ პირთა პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლები დააკვირდნენ ტრენინგებს, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ გაცემული ადრეული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოიცავდა პრაქტიკულ სავარჯიშოებს კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურების შესახებ.¹⁷ ცესკომ ტრენინგების მონაწილეებს მიაწოდა ყოვლისმომცველი ინფორმაცია ამომრჩევლების შესახებ, რასაც თან ერთვოდა შეხვედრები ამომრჩევლებთან და ვიდეო და ბეჭდური მასალა. სახელმძღვანელოები და

¹⁵ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეფასებით ეთნიკურად სომხური მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 47 პროცენტი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 68 პროცენტი ეთნიკურად სომეხია. ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში საოლქო საარჩევნო კომისიების არცერთი წევრი არ არის აზერბაიჯანელი, საუბნო საარჩევნო კომისიებში კი მათი რაოდენობა 30 პროცენტია

¹⁶ ცესკოს მონაცემების მიხედვით, 17 ოქტომბერს, „ეთიკის პრინციპებს“ ხელი მოაწერა საოლქო და საუბნო კომისიების ყველა წევრმა, რათა უზრუნველყოფილიყო მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას.

¹⁷ ტრენინგები ჩატარდა რამდენიმე ეტაპად. ძირითადად, ტრენინგებს მონაწილენი აქტიურად ესწრებოდნენ და ODIHR EOM-ის ყველა დამკვირვებლის მიერ ძალიან ეფექტურად შეფასდა.

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალები ხელმისაწვდომი იყო ეთნიკური უმცირესობების ენებზეც.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება გააჩნია არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც პატიმრობა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. ხმის მიცემის უფლება ასევე არ აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღების სტატუსის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც კენჭისყრის დღისთვის იმყოფებიან სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. იმ პირებისთვის ხმის მიცემის უფლების სრულიად შეზღუდვა, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღებად არიან ცნობილი და ამავდროულად სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არიან მოთავსებული, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.¹⁸

საქართველოში ამომრჩეველთა რეგისტრაციის პასიური სისტემა მოქმედებს. ცენტრალური საარჩევნო კომისია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენაზე, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ადგენს. მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის მქონე ამომრჩეველები ამომრჩეველთა სიაში ჩაწერის მუდმივი მისამართის, ფაქტობრივი (დროებითი) მისამართის ან რეგისტრაციის ძველი მისამართის მითითების მიხედვით არიან შეყვანილი.¹⁹ პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამომრჩეველთა სიები ზუსტია.

აღსანიშნავია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ძალისხმევა, რომ ამომრჩეველთა სიიდან ამოიღოთ გარდაცვლილი პირების მონაცემები დარეგისტრაციიდან მოხსნილ ან მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ დოკუმენტები და ფოტოები უფასოდ მიეღოთ. ამას გარდა, ამომრჩეველთა სიას დაახლოებით 196,844 დევნილი მოქალაქის მონაცემები დაემატა მათი ამჟამინდელი, ფაქტობრივი მისამართის მითითებით. დევნილის სტატუსის არმქონე ან შეწყვეტილი სტატუსის მქონე მოქალაქეებს გაეზავნათ შეტყობინება და ეცნობათ, რომ მათ ამომრჩეველთა სიაში დარეგისტრირება შეეძლოთ.

¹⁸ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა გაეროს კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში“. ამას გარდა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება რეგულირდება ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციით,(ECHR) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) მიიჩნევს, რომ არამართებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა ადამიანის გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე (იხ. *Alajos Kiss v. Hungary*, განცხადება # 38832/06, 20 მაისი 2010)

¹⁹ ბოლოდროინდელი ცვლილებების მიხედვით, ამომრჩეველი ავტომატურად ხვდება ამომრჩეველთა სიაში, თუ მისი მიმდინარე ან წინა მისამართი არის დაფიქსირებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ამომრჩეველებს 7 ოქტომბრამდე ჰქონდათ შესაძლებლობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის თავისი ფაქტობრივი მისამართი ეცნობებინათ და გადაეღოთ ბიომეტრიკული ფოტო

ამომრჩევლებს მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების და ცდომილების აღმოჩენის შემთხვევაში მათი შესწორება მოეთხოვათ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა წინასწარი სიები თვალსაჩინოებისთვის საარჩევნო უბნებში ნამდვილად იყო გამოკრული. ამომრჩეველს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმება ასევე შეეძლოთ საოლქო საარჩევნო კომისიაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით განთავსებული დაახლოებით 10,000 სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით. ცესკოს მონაცემებით 988-მა ამომრჩეველმა მოითხოვა სიებში შესწორების შეტანა. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე, ცესკომ ამომრჩეველთა სიის ელექტრონული ვერსია მოთხოვნის საფუძველზე ხუთ პოლიტიკურ პარტიას მიაწოდა. 27 ოქტომბერს ცესკოს განცხადებით სულ 3,518,877 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული.

კანდიდატების რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი უფლებას აძლევს 35 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის უფლება, არ აქვთ ორმაგი მოქალაქეობა და საერთო ჯამში სულ მცირე 5 წელი, მათ შორი ბოლო 3 წელი კი უწყვეტად, უცხოვრიათ საქართველოში, კენჭი იყარონ საპრეზიდენტო არჩევნებში. ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ეს მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდის და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.²⁰

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პოლიტიკურ პარტიებს და ასევე სულ მცირე ხუთი ამომრჩევლის მიერ ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს უფლება აქვთ თითო საპრეზიდენტო კანდიდატი წარმოადგინონ მხარდამჭერთა სიების წარმოდგენის საფუძველზე.²¹ ცესკომ შესაბამისი კანდიდატების წარმომადგენლებთან დასაწყობით გადაამოწმა მხარდამჭერთა სიებით წარმოდგენილი ხელმოწერები და მხარდამჭერთა სიაში შემავალი ამომრჩევლების პირადი მონაცემები და ბათილად სცნო ჩანაწერები, სადაც ამომრჩევლის მითითებული მონაცემები თანხვედრაში არ იყო ბაზაში შენახულ მონაცემებთან. სანდო მითითებების საფუძველზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელი იყო ამომრჩეველთა სიის მონაცემთა ბაზის ყიდვა,

²⁰ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) 1996 წლის 25-ე მუხლის 25-ე ზოგადი კომენტარის ზ15-ე პარაგრაფი ამბობს, რომ „ყველა პირს, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს, არ უნდა შეეზღუდოს ეს უფლება რაიმე არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნის საფუძველზე, როგორც არის: განათლება, საცხოვრებელი ადგილი ან ჩამომავლობა ან პოლიტიკური მიკუთვნებულობა“. იხ. ასევე ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხთა შესახებ კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებების I 1.1.c iv, რომლის მიხედვითაც „ბინადრობის სავალდებულო ხანგრძლივობა“ არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს“.

²¹ საარჩევნო კოდექსის მიხედვით პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ცესკოში საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნებისთვის, აქვთ უფლება დაასახელონ საპრეზიდენტო კანდიდატი. დადებითად იქნა აღქმული ის, რომ ცესკომ ეს უფლება მიანიჭა იმ პარტიებსაც, რომლებსაც რეგისტრაცია გაუუქმდათ სხვადასხვა მიზეზების გამო, რამაც გააფართოვა ჩართულობის პროცესი. პარტიებსაც და საინიციატივო ჯგუფებსაც უნდა წარმოედგინათ მხარდამჭერთა ხელმოწერები დარეგისტრირებული ამომრჩევლების სულ მცირე 0.75 პროცენტის ოდენობით. ცესკომ შესაბამისი რაოდენობა განსაზღვა - 25,923 ამომრჩევლით.

და რადგან მხარდამჭერთა სიების ავთენტიკურობის დასადგენად არანაირი მექანიზმი არ არის ამოქმედებული, ამ ფაქტმა კანდიდატთა დასახელების პროცესის სარწმუნოების მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად შეამცირა.²²

ცესკომ, პროცესის ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, სულ 25 კანდიდატი დაარეგისტრირა, რომელთაგანაც 2 ქალია.²³ არცერთი დარეგისტრირებული კანდიდატი არ წარმოადგენდა უმცირესობათა ჯგუფებს.²¹ წარმოდგენილ კანდიდატს სხვადასხვა მიზეზით ეთქვა უარი.²⁴ რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ და სავარაუდო უპირატესობის მქონე პოლიტიკურმა სუბიექტმა, მათ შორის მოქმედმა პრეზიდენტმა, უარი განაცხადეს ამ არჩევნებში მონაწილეობაზე, რის მიზეზადაც შეზღუდული საპრეზიდენტო მანდატი დაასახელეს. მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა მხარი დამოუკიდებელი კანდიდატისთვის დაეჭირა და თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმ არგუმენტით, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არცერთი პარტიის წარმომადგენელი არ უნდა იყოს. დანაწევრებულმა საპარლამენტო ოპოზიციამ („ევროპული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ცალ-ცალკე კანდიდატები წარმოადგინეს. როგორც ჩანს, ცხრა კანდიდატი დარეგისტრირდა საბიუჯეტო დაფინანსების გამოყენებისა და უფასო საეთერო დროის სხვა კანდიდატის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით. (იხ. მედიის ნაწილი)

საარჩევნო გარემო

წინასაარჩევნო კამპანია 29 აგვისტოს, კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე, დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტური თავისუფლებები უზრუნველყოფილი იყო და საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა თავისუფლად შეეძლოთ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) თვალთახედვის არეში მოხვდა რამდენიმე ჩამოილილი წინასაარჩევნო ღონისძიება და პარტების ოფისების დარბევისა და წინასაარჩევნო კამპანიისთვის საჭირო მასალების დაზიანების მრავალი შემთხვევა.²⁵ ძალადობის ცალკეული ფაქტები გამოძიებულია.²⁶ მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების უმრავლესობა „ეთიკის პრინციპების“ (ცესკოს ხელშეწყობით შექმნილი

²² ცესკოს უფლება აქვს გააუქმოს კანდიდატის რეგისტრაცია, მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობის საფუძველზე, თუ ამომრჩეველი დაადასტურებს წერილობით, რომ მას არ მოუწერია ხელი კანდიდატის მხარდამჭერთა სიისათვის.

²³ ყველა კანდიდატს შორის 19 კანდიდატი დასახელდა პოლიტიკური პარტიების მიერ, ხოლო 6 საინიციატივო ჯგუფების მიერ.

²⁴ 19 საინიციატივო ჯგუფმა არ წარმოადგინა მხარდამჭერთა სიები, ერთმა საინიციატივო ჯგუფმა არ შეასწორა დოკუმენტში არსებული ხარვეზები, ხოლო ერთი პოლიტიკური პარტია არ იყო დარეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში.

²⁵ ახალქალაქში, გურჯაანში, რუსთავსა და ბოლნისში (2, 4, 9 და 10 ოქტომბერს) სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიის შეკრებები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ან გაურკვეველმა პირებმა ჩაშალეს. სისტემატიურ ხასიათს ატარებდა 15 და 16 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებისა და წინასაარჩევნო მასალების განადგურების ფაქტები (მაგ: ვაკეში, კაშურში, ბოლნისში, გარდაბანში, რუსთავში, ზუგდიდში, ხობში, ზესტაფონში, ოზურგეთში, თიანეთში, ქობულეთსა და ბათუმში).

²⁶ „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის ოთხი პოლიტიკური მოტივით განპირობებული ინციდენტი დაფიქსირდა თინეთში, ქუთაისში, თბილისსა და კასპში (15 და 19 სექტემბერს, 8 და 15 ოქტომბერს).

ვალდებულებების დეკლარაცია) შემუშავებაში აქტიურად იყო ჩაბმული, ორმა კანდიდატმა (ქ-ნ. ზურაბიშვილმა და ბ-ნ. ნათელაშვილმა) უარი თქვა შეთანხმებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე ხელის მოწერაზე არგუმენტად კი მისი ფორმალური ბუნება და სხვა კანდიდატების მხრიდან შეთანხმებული პრინციპების სავარაუდო დარღვევა დაასახელეს.²⁷

წინასაარჩევნო კამპანია დახუნძლული იყო საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებისკენ მიმართულ სადავო თემებით, ნეგატიური კამპანიის წარმოებისა და „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას შორის გაჟღერებული მძიმე ბრალდებების ფაქტებით.²⁸ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) წარმომადგენლების თვალთახედვის არეში მოექცა 45 წინასაარჩევნო შეკრება, რომელთა მიმდინარეობისას კანდიდატები საუბრობდნენ დაპირებებზე, მაგრამ არ წარმოუდგენიათ სტრუქტურირებული საარჩევნო პროგრამა. გენდერული საკითხები არ იყო სათანადოდ წარმოჩენილი²⁹, ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე კი მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ისაუბრეს. ისეთი მწვავე საკითხების განხილვისას, როგორც არის უმუშევრობა, ჯანდაცვა, სოციალური შემწეობების გაზრდა ან თუნდაც ადგილობრივი განვითარების პროექტები, წინასაარჩევნო გავნილები ხშირად ძალიან სცდებოდა შეცვლილ საპრეზიდენტო მანდატს. მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო გამართული დებატებისა და კანდიდატთა ნამდვილ პლატფორმათა ნაკლებობამ საგრძნობლად შეამცირა ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო უწყებებმა რამდენიმე ინსტრუქცია გამოსცეს და ჩაატარეს ტრენინგები პროცესში ჩაბმული დაინტერესებული მხარეებისთვის აკრძალული ქმედებების შესახებ მათი

²⁷ ამ პრინციპებზე ხელმოწერით კანდიდატებმა ვალდებულება აიღეს, რომ დაიცავდნენ კანონის უზენაესობის პრინციპს, თავს შეიკავებდნენ ძალადობისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ამომრჩეველთა დაშინების, ცრუ ინფორმაციის გავრცელების, წინასაარჩევნო კამპანიის აქტივობების ხელშეშლისა და სხვების შეურაცხყოფისგან.

²⁸ დებატების დროს ყველაზე ცხარე დისკუსია გაიმართა ეროვნულ-ისტორიული მოვლენების აღქმის, მარიხუანის მოყვანის შესახებ კანონის პროექტისა და კორფციის სავარაუდო ფაქტის გარშემო ატეხილი სკანდალის შესახებ. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თვალთახედვის არეში მოხვდა რამდენიმე ნეგატიური სატელევიზიო რეკლამა ქ-ნ. სალომე ზურაბიშვილისა და ბ-ნ. გრიგოლ ვაშაძის შესახებ, ასევე, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის მხრიდან ნეგატიური კამპანიის ფაქტი დაფიქსირდა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მისამართით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სატირული ხასიათის პლაკატები გამოჩნდა დედაქალაქის ქუჩებსა და სოციალური მედიის საშუალებებში. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო შეკრებებზე ბოლნისისა და ქუთაისში (შესაბამისად 7, 12 და 16 ოქტომბერს) მკაცრი კრიტიკა გაისმა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის მისამართით, 27 ოქტომბერს კი პარლამენტის თავმჯდომარემ („ქართული ოცნება“) მკაცრად გააკრიტიკა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი.

²⁹ რამდენიმე შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა და მაღალი თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი გენდერული ნიშნით თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

ცნობიერების ასამაღლებლად.³⁰ თუმცა, ამ ძალისხმევას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რადგან მას არ მოჰყოლია სათანადო აღსრულება. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბრისას საარჩევნო პროცესში ჩაბმულმა დაინტერესებულმა მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების სავარაუდო ფაქტების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცესკოში შესული 32 საჩივრიდან მხოლოდ 4 დაკმაყოფილდა,³¹ 23 არ დაკმაყოფილდა, 5 კი ჯერაც განხილვის მოლოდინშია.³² დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) თვალთახედვის არეში მოექცა ასევე მაღალჩინოსანი თანამდებობის პირების მიერ სამთავრობო უწყებების ვებგვერდების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენებისა და საჯარო უწყებების თანამშრომელთა მიერ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფაქტები.³³ მიუხედავად იმისა, რომ კანონით არ არის აკრძალული, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის (ODIHR EOM) დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ, მერები, გუბერნატორები და „ქართულის ოცნების“

³⁰ ცესკომ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ ურთიერთგაგების არასავალდებულო მემორანდუმს მოაწერეს ხელი და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების წესების სახელმძღვანელო დოკუმენტი გამოაქვეყნეს. უწყებთაშორისმა კომისიამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის გამოსცა რეკომენდაცია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელეებმა თავი უნდა შეიკავონ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებისგან წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე პერიოდშიც; სამთავრობო დადგენილების მიხედვით კი თითოეულმა საჯარო მოხელემ უნდა მიიღოს ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების შესახებ.

³¹ ტყიბულისა და ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიებმა ადმინისტრაციული ოქმი შეადგინეს და სასამართლოს მიმართეს თხოვნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და ნინოწმინდის „ფეისბუქის“ გვერდების ადმინისტრატორებისთვის წინასაარჩევნო მასალების გვერდებზე გამოქვეყნების უფლება მიეცათ. თითოეულ შემთხვევაში ორ-ორი საჩივარი შედგა და ოთხივე მათგანი დაკმაყოფილდა.

³² ადმინისტრაციული რესურსები ბოროტად გამოყენების განმარტება გაფართოვდა და ამჟამად მოიაზრებს არამხოლოდ ოფიციალური ვებგვერდებისა და სოციალური მედიის ანგარიშების გამოყენებას, არამედ ასევე წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით სახელმწიფოს კუთვნილი ელექტრონული მოწყობილობებიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ინტერნეტით პირადი პლატფორმებით სარგებლობასაც. თუმცა, ამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ მსგავსი ქმედებების გამოვლენა, დადასტურება და მათზე რეაგირება ძალიან რთულია. საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჯარო მოხელეებისგან მიღებული განმარტებითი ბარათები გამოიყენეს საჩივრებზე რეაგირების შეჩერების საფუძველად.

³³ ახალციხეში, სიღნაღში, რუსთავში, ბოლნისში, თეთრიწყაროსა და გორში (შესაბამისად 2, 8, 9, 10, 11, 12 ოქტომბერს) სამუშაო საათებში გამართულ წინასაარჩევნო ღონისძიებებში საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ. საქართველოს პარლამენტისა და ქალაქ თბილისის მერიის ვებგვერდებზე გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც საუბარი იყო წინასაარჩევნო კამპანიისთვის დამახასიათებელი აქტივობების მსგავს ღონისძიებებზე პარლამენტის თავმჯდომარის და თბილისის მერის მონაწილეობაზე. სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) საჩივარზე პასუხად ცესკომ დაწვრილებით განმარტა კანონი და ეს ქმედებები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტად არ მიიჩნია. თავისი გადაწყვეტილება კი დაასაბუთა იმით, რომ საარჩევნო კამპანიის შეზღუდვები არ ვრცელდება პოლიტიკური თანამდებობის პირებზე. კანონის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება „საარჩევნო კოდექსს“ და შეიძლება მიჩნეული იყოს დაუსჯელობის აღქმის განმტკიცებად, რაც ზიანს აყენებს ცნობადობის ამაღლებისკენ მიმართულ ნებისმიერ ძალისხმევას.

წევრი პარლამენტარები „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა შეკრებას ესწრებოდნენ.³⁴ აღნიშნული ფაქტები ბუნდოვანს ხდის ზღვარს სახელმწიფოსა და ხსენებულ პარტიას შორის, რაც არ შეესაბამება ეუთოს და ევროპის საბჭოს ვალდებულებებსა და ამ კუთხით მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას.³⁵

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) საუბარში საარჩევნო პროცესში ჩაბმული ბევრი დაინტერესებული მხარე აღნიშნავდა, რომ მმართველი პარტია კოორდინატორთა მექანიზმს ეყრდნობა, რომლის მეშვეობითაც კენჭისყრის დღემდე გროვდება ამომრჩეველთა პირადი მონაცემები და შესაბამისად დგება „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის მომხრეთა სავარაუდო სია. „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი ღიად საუბრობს ამ პრაქტიკაზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR EOM) სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მსგავსი სიების წარმოდენას საჯარო უწყებების მოხელეებსაც სთხოვენ.³⁶ საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აკრძალულია და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაწილეობა ისეთ ქმედებებში, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ამა თუ იმ კანდიდატის არჩევას. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა ხმის კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ზეწოლის მსგავსი შემთხვევები შეშფოთების საგანია, რადგან საჯარო სექტორში დასაქმებულებს დასჯის შიშის გამო ეზღუდებათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც ეუთოს

³⁴ საჯარო მოხელეთა გარკვეულ კატეგორიას სრულიად ეკრძალება საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, მაგრამ ამავე დროს ის არ კრძალავს წინასაარჩევნო კამპანიაში პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ შორის მინისტრების, პარლამენტის წევრების, გუბერნატორებისა და არჩეული თანამდებობის პირების ან ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობას.

³⁵ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პარაგრაფი ამბობს, რომ „სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკვეთრი ზღვარი უნდა გადიოდეს“. 2016 წლის ეუთოსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ასევე ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული წინასაარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და მსგავს ქმედებებზე რეაგირების საერთო სახელმძღვანელო მითითებების II.B 1.1 პუნქტი ამბობს, რომ „სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეფექტური მექანიზმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო უწყებების მხრიდან მათი მდგომარეობის არასამართლიანი გამოყენება, ოფიციალური, საჯარო ღონისძიებების გამართვით საარჩევნო კამპანიის მიზნით, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებები, ან ღონისძიებები, რომლებიც რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერად იმართება.

³⁶ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში რამდენიმე საჯარო მოხელემ დაადასტურა, რომ უფროსმა მათგან მოითხოვა მსგავსი სიის წარმოდგენა. მათ ასევე განაცხადეს, რომ ამის გამო იგრძნეს ზეწოლა, რომ თუ სამსახურის შენარჩუნება სურდათ, ხმა მმართველის პარტიის კანდიდატისთვის უნდა მიეცათ. თბილისში და დედოფლისწყაროში „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პარტიის მხარდამჭერები ამომრჩეველთა სიებს აგროვებდნენ.

ვალდებულებითა და საერთაშორისო სტანდარტებით არის გათვალისწინებული.³⁷

იმის გამო, რომ სხვადასხვა კანდიდატებს სხვადასხვანაირად მიუწვდებათ ხელი უფასო საეთერო დროსა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე, შედეგად მათი წინასაარჩევნო კამპანიის სტრატეგიებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ერთნი მთელი ქვეყნის მასშტაბით მართავდნენ შეხვედრებს, მეორენი კი ამომრჩეველთან მხოლოდ „ფეისბუქის“ დახმარებით ურთიერთობენ. რამდენიმე კანდიდატმა თავისი კუთვნილი საეთერო დრო, საბიუჯეტო დაფინანსება და საარჩევნო უბნებზე წარმოდენილი პარტიის წარმომადგენელთა კვოტები სხვა კანდიდატების მხადასაჭერად გამოიყენეს. ეს პრაქტიკა მნიშვნელოვნად აზიანებს „1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.6 პარაგრაფის მოთხოვნებს თანაბარი საასპარეზო მოედნის შესახებ და ვენეციის კომისიის კარგი პრაქტიკისა და საარჩევნო საკითხების კოდექსს³⁸.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს არეგულირებს 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსი, 1997 წელს მიღებული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და 2008 წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“.³⁹ პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ არის ერთგვაროვანი. კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებები არ ითვალისწინებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) და ევროპის საბჭოს

³⁷ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პარაგრაფის მოთხოვნათა მიხედვით „წინასაარჩევნო კამპანია სამართლიან და თავისუფალ გარემოში უნდა ჩატარდეს. არცერთი ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობის ან დაშინების ფაქტი არ უნდა იყოს გამოყენებული, რათა პარტიებმა და კანდიდატებისთვის თავისი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმა შეძლონ, ამომრჩევლებს კი დასჯის შიშის გამო არ შეეზღუდოთ მათი გაცნობისა და განხილვის, შემდგომში კი ხმის მიცემის შესაძლებლობა. 1996 წლის გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 25 (პარაგრაფი 19) ამბობს, რომ „ამომრჩევლებმა უნდა შეძლონ თავისი მოსაზრების დამოუკიდებლად, თავისუფლად, ძალადობის, ზემოქმედებისა, ზეწოლისა და რაიმე სახის მანიპულაციის გარეშე ფორმირება. ასევე იხილეთ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის პოლიტიკური პარტიების რეგულირების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის 209 პარაგრაფი.

³⁸ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.6. პარაგრაფი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს „შეიმუშაონ აუცილებელი სამართლებრივი გარანტიები, რათა საარჩევნო სუბიექტებმა შეძლონ ერთმანეთს კანონისა და სახელმწიფო უწყებების წინაშე თანაბარ საწყისებზე ეპაექრონ“. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხთა შესახებ კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებების I.2.3. მიხედვით „პარტიებს და კანდიდატებს თანაბარი შესაძლებლობები უნდა მიეცეთ. ეს გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ნეიტრალურ დამოკიდებულებას...“.

³⁹ ამ კანონებს ემატება 2016 წელს გენერალური აუდიტორის მიერ გამოცემული განკარგულება, რომელშიც ამ დროისთვის ბოლო ცვლილება 2018 წელს შევიდა, რათა განისაზღვროს არაფულადი შემოწირულობების, მათ შორის მოხალისეობრივი მუშაობის, შეფასება და მსგავსი /სერვისების საბაზრო ფასად დეკლარირება.

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციებს.⁴⁰

კანონით გათვალისწინებულია როგორც კერძო, ასევე საბიუჯეტო დაფინანსების წყაროები.⁴¹ საბიუჯეტო დაფინანსებით ვერ სარგებლობენ დამოუკიდებელი კანდიდატები. თუმცა, ყველა კანდიდატი, რომელიც პირველ ტურში ათპროცენტთან ზღვარს გადალახავს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად 1,000,000 ლარამდე (დაახლ. 328,472 ევრო)⁴² ოდენობის დაფინანსებას მიიღებს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაწეული დანახარჯის ზღვარი, რომელიც გასული წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1 პროცენტია მაღალია და ხელს არ უწყობს გაუმართლებელი უპირატესობის მინიმუმამდე დაყვანას და ყველა მოთამაშისთვის თანაბარი საასპარეზო მოედნის უზრუნველყოფას.

სადამკვირვებლო პერიოდში „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა ყველაზე მეტი შემოწირულობა მიიღო⁴³ და ამასთანავე ერთადერთი იყო, ვინც წინასაარჩევნო კამპანიის საჭიროებების დასაფინანსებლად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან დაკავშირებული კომერციული ბანკიდან ერთი მილიონი ლარის ოდენობის სესხი აიღო. ფულადი და არაფულადი სახით მიღებული შემოწირულობები მკაცრად რეგულირებულია და ყველა სუბიექტს აკისრებს ანგარიშგების ვალდებულებას, თუმცა სესხის აღების პროცესს და ამ გზით მოპოვებული დაფინანსების გამოყენების ანგარიშგებას სათანადო გარანტიები აკლია, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.⁴⁴

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პოლიტიკური პარტიების, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხების მონიტორინგისა და კანონდარღვევებზე რეაგირების მანდატი კანონით აქვს დაკისრებული, თუმცა არ გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტური მონიტორინგის განსახორციელებლად.

საარჩევნო სუბიექტების უმრავლესობამ პირნათლად შეასრულა პერიოდული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალდებულება არჩევნების გამოცდადების დღიდან. და ასევე

⁴⁰ 2016 წლის GRECO-ს შესაბამისობის მეორე ანგარიშის 2016 წლის დანართში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ცესკო ერთად ამზადებდა LPUC-ში და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რათა აღმოეფხვრათ ხარვეზები და მათ შორის არსებული ჯვარედინი მითითებები. თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, პარლამენტმა მათ მიერ საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიზნით შეთავაზებული რეკომენდაციები არ გაითვალისწინა.

⁴¹ მიმდინარე არჩევნებში იმ 19 პარტიიდან, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს (კვალიფიციური სუბიექტები), 16-მა თავისი პრეზიდენტობის კანდიდატი წარმოადგინა.

⁴² 1 ევრო (EUR) დაახლოებით 3 ქართულ ლარს უდრის (GEL)

⁴³ საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოწირულობების საერთო ოდენობამ დაახლოებით 5,233,120 ლარი შეადგინა. დაახლოებით 3,634,380 ლარის შემოწირულობა მიიღო სალომე ზურაბიშვილმა, დაახლოებით 617,945 , ლარის შემოწირულობა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და დაახლოებით 599,613, ლარი „ევროპულმა საქართველომ“.

⁴⁴ „ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ“ 171 პარაგრაფი ამბობს, რომ „კანონმდებლობამ შეიძლება დართოს უფლება პარტიებსა და კანდიდატებს აიღონ სესხი წინასაარჩევნო კამპანიის რომელიმე ნაწილის ან აქტივობების დასაფინანსებლად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რესურსების გამოყენებისას გამოყენებული იყოს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესები“

პერიოდული შემოწირულობების ანგარიში მიღებიდან 5 დღის ვადაში.⁴⁵ თუმცა, კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ უწესებს კონკრეტულ ვადას ანგარიშების სიღრმისეულად შესასწავლად, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას. აუდიტის სამსახურმა, აღნიშნული ანგარიშები გამოიკვლია და პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ისინი მყისიერად გამოაქვეყნა თავის ვებგვერდზე.⁴⁶

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ანგარიშების ნამდვილობა მედიის მონიტორინგის, სავლე ვიზიტებისა, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხების მეშვეობით დაადგინა. შედეგად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 300 შემომწირველის მიერ გაკეთებული შემოწირულობის გამოსაძიებლად ნებართვა მოსთხოვა, ამ შემომწირველთა უმრავლესობა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატების შემომწირველი იყო. ამას გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შევიდა ოთხი საჩივარი ხმების ყიდვის, უფასო საეთერო დროის ბოროტად გამოყენებისა და კენჭისყრის დღის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტში მომხდარი ცვლილებების შესახებ.⁴⁷ აუდიტის სამსახურმა, მედია მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ოთხ საქმეზე მოკვლევა დაიწყო.⁴⁸ არცერთი სანქცია არ არის დაწესებული კენჭისყრის დღემდე. კანონდარღვევებზე რეაგირების მოხდენისთვის კონკრეტული ვადის არარსებობა ეჭვქვეშ აყენებს წინასწარჩევნო კამპანიის დაფინანსების

⁴⁵ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, სალომე ზურაბშვილმა გახარჯა დაახლოებით 4,084,07, ლარი, „ევროპულმა საქართველომ“/დავით ბაქრაძემ - 882,313, ლარი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“/გრიგოლ ვაშაძემ 864,525 ლარი და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 222,094. ლარს. ყველა დანარჩენმა კანდიდატმა საერთო ჯამში დახარჯა დაახლოებით 1,132,610 ლარი. სამმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ამ პერიოდში არანაირი დანახარი არ ჰქონია. საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაწეული დანახარჯების შესახებ ფინანსური ანგარიშის წარმოდგენის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ჰქონდათ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებმაც ოფიციალური კანდიდატები დაასახელეს.

⁴⁶ „ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ“ 194 და 206 პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ „გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია. იმისათვის, რომ პარტიებმა ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულად იგრძნონ თავი, ამომრჩევლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათი დაფინანსების წყაროების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე. ფინანსური ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს ფართო საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით.“

⁴⁷ ISFED-მა საჩივარი შეიტანა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მოსთხოვა რეაგირება მოეხდინა ოთხი კვალიფიციური კანდიდატის მიერ მათი კუთვნილი უფასო საეთერო დროის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ გამოყენების ფაქტზე. ასევე, ერთი კვალიფიციური კანდიდატის მიერ თავისი კუთვნილი უფასო საეთერო დროის „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის სასარგებლოდ გამოყენების ფაქტზე. ISFED-ის დაობდა, რომ ეს ფაქტები უკანონოდ უნდა მიჩნეულიყო, თუმცა აღნიშნული საქმეები კვლავაც განხილვამია.

⁴⁸ ეს შეეხებოდა „თავისუფალი საქართველოს“/კახა კუკავას მიერ ხმების ყიდვის სავარაუდო ფაქტს და ქალბატონი ზურაბიშვილის სასარგებლოდ გაღებულ შემოწირილობას, რომელიც, როგორც საჩივარში იყო მითითებული, ექიმებმა კანდიდატისთვის შესაწირად „ქართული ოცნებისგან“ მიიღეს.

მარეგულირებელი კანონმდებლობის ეფექტურ აღსრულებას.⁴⁹ ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მარეგულირებელი სისტემის რამდენიმე თვალნათელმა ხარვეზმა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადამიანური რესურსის სიმცირემ შეამცირა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების სისტემის გამჭვირველებაც.⁵⁰

მედია

მრავალფეროვანი მედია გარემო მკვეთრად პოლარიზებულია პოლიტიკურ მიმართულებებსა და ბიზნეს ინტერესებს შორის. ტელევიზია პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს, სადაც კომერციულ მედია ბაზარზე ორი სატელევიზიო არხი „რუსთავი 2“ და „იმედი“ დომინირებს. ონლაინ და სოციალური მედია კი, ნაკლებად აქტიურ წყაროდ რჩება. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) შეხვედრისას საარჩევნო პროცესში ჩამბული დაინტერესებული მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მედია გარემო მყიფე და არამდგრადია, განსაკუთრებით კი შემცირებული სარეკლამო ბაზრის და „რუსთავი 2“-ის მფლობელობის საკითხზე მიმდინარე დავის ფონზე, აგრეთვე, „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ გარშემო სახელმწიფო სახსრების შესაძლო ბოროტად გამოყენების შესახებ მიმდინარე გამოძიების გამო. კრიტიკული მაუწყებლობა შეიზღუდა 16 ოქტომბერის შემდეგ ეროვნული მაუწყებლის, ტელეკომპანია „იბერიას“ დახურვის შემდეგ, რაც მისი დამფუძნებელი კომპანიის ქონების დაყადაღების შედეგად სარეკლამო შემოსავლების დანაკარგმა გამოიწვია.

საარჩევნო პროცესებში მედიის სამართლებრივი ჩარჩო საკვანძო ასპექტებში სიცხადის ნაკლებობით ხასიათდება, ნეგატიურ გავლენას ახდენს სარეკლამო შემოსავლების მიღების შესაძლებლობებზე და უფასო ეთერის ფართო წვდომის საშუალებას არ იძლევა. კერძოდ, საარჩევნო კოდექსში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ოფიციალური კამპანიის პერიოდის გარდა კამპანიის წარმოების წესები და ოფიციალური განმარტებების

⁴⁹ გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ“ 2004 წლის კონვენციის 7.3 მუხლი და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები „პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ“ 194 პარაგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კამპანიის დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობას ამომრჩეველთა უფლებების დასაცავად და კორუფციის თავიდან ასაცილებლად. იხ. აგრეთვე ამ სახელმძღვანელო პრინციპების 224 პარაგრაფი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ეფექტური, ხელმისაწვდომი და პროპორციული სანქციების დაწესების აუცილებლობას წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებისას ჩადენილი კანონდარღვევებზე რეაგირებისთვის.

⁵⁰ გაეროს „კორუფციის წინააღმდეგ“ 2004 წლის კონვენციის მუხლი 7.3 ამბობს, რომ სახელმწიფოებმა „შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები უნდა მიიღონ... საჯარო თანამდებობებზე არჩეული კანდიდატების დაფინანსებისა და, სადაც შესაძლებელია, პოლიტიკური პარტიების, დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად“.

არასებობის გამო რამდენიმე კანდიდატმა რეკლამის განთავსება ვერ შეძლო⁵¹. საარჩევნო კოდექსი ეროვნული მედია მაუწყებლებისგან მხოლოდ იმ 16 საარჩევნო სუბიექტისთვის მოითხოვს უფასო საეთერო დროის დათმობას, რომლებიც პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელდნენ და აქვთ უფლება სახელმწიფო დაფინანსება მიიღონ. მედიაზე წვდომის შეზღუდვა სხვა პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის წინააღმდეგობაშია ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან.⁵² კანონში ნათლად განსაზღვრული არ არის, თუმცა, ექვსმა პარტიამ უფასო საეთერო დროის მიღებასთან ერთად ცესკოსგან დამატებით სახელმწიფო რესურსი მიიღო, რომელიც გამოყოფილი იყო მხოლოდ ფასიანი პოლიტიკური რეკლამებისთვის.⁵³ კანდიდატების გარკვეულმა ნაწილმა მიღებული უფასო საეთერო დრო და ფასიანი რეკლამები სხვა კანდიდატების მხარდაჭერას დაუთმეს. აღნიშნულის დარეგულირება სამართლებრივად ვერ ხერხდება, შესაბამისად უფასო საეთერო დროის არათანაბარი გადანაწილების შედეგი დადგა.⁵⁴

სამაუწყებლო მედია უმეტეს შემთხვევებში ასრულებდა საკუთარ სამართლებრივ ვალდებულებას უფასო ეთერი დაეთმო კანდიდატებისთვის, რასაც კანდიდატები აქტიურად იყენებდნენ.⁵⁵ მედიაზე წვდომის გაფართოების გადაწყვეტილების შედეგად ორივე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა - საზოგადოებრივი მაუწყებელი (GBP) და ტელეკომპანია *აჭარა* გადაწყვიტა უფასო დრო ყველა კანდიდატისთვის თანაბრად დაეთმო. ამას გარდა, ორივე მაუწყებელმა მრავალრიცხოვან დებატებს უმასპინძლა,

⁵¹ 6 და 7 სექტემბერს მედიის მარეგულირებელმა ორგანომ ტელეკომპანია „იმედსა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს შეატყობინა, რომ 1 აგვისტოდან მათ ჰქონდათ უფლება ეთერში გაეშვათ პოლიტიკური რეკლამა. გარდა ამისა, 24 აგვისტოს ის წამოაყენა ინიციატივა, 15 და 16 აგვისტოს სარეკლამო შემოსავლებზე ინფორმაციის მოწოდების გარეშე თავის ეთერში პოლიტიკური რეკლამების გაშვების გამო „რუსთავი 2“ წინააღმდეგ სანქციები დაწესების თაობაზე „რუსთავი 2“ მიხედვით ტელეკომპანიას ჯერ კიდევ ჰქონდა სამართლებრივი ვადა შეტყობინების გაგზავნისთვის. საარჩევნო კოდექსის 50.1 მიხედვით შეტყობინების გაგზავნა სავალდებულოა არაუგვიანეს არჩევნებამდე 50 დღით ადრე (8 სექტემბერი მოცემულ შემთხვევაში).

⁵² 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.8 პარაგრაფის მიხედვით მონაწილე ქვეყნებმა უნდა დაადასტურონ, რომ „არ იარსებებს არანაირი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაბრკოლება, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მსურველ არცერთ პოლიტიკური ჯგუფებსა თუ პირის, არადისკრიმინაციულ საფუძველზე ხელს შეუშლის მედიაზე თავისუფალ წვდომაში

⁵³ გამოყოფილი დაფინანსება წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით განისაზღვრა. „ევროპულმა საქართველომ“ და მათი კოალიციის პარტნიორმა, „მოდრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“, თითოეულმა 234,348 ლარი მიიღეს, მაშინ როდესაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და მათი კოალიციის პარტნიორმა „ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ“ და „ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ“ თითოეულმა 200,000 ლარი მიიღეს. „ლეიბორისტულმა პარტიამ“ კი 147,390 ლარი მიიღო.

⁵⁴ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი საეთერო სივრცეში სხვა ოთხი კანდიდატის მიერ დათმობილი უფასო საეთერო დროის მემკვიდრით დაწინაურდა, მაშინ, როცა კიდევ სხვა სამმა კანდიდატმა თავისი კუთვნილი დრო „თავისუფალი საქართველოს“ კანდიდატის მხარდაჭერისთვის გამოიყენა. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს დაუჭირა მხარი, ხოლო „მოდრაობამ თავისუფალი საქართველოსთვის“ „ევროპულ საქართველოს“ დაუჭირა მხარი.

⁵⁵ „რუსთავი 2“-მა პირველად მიიღო გადაწყვეტილება უფასო საეთერო დრო გაეზარდა საათში 10-14 წუთამდე. ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება მაუწყებლობის შესახებ კანონს, თუმცა სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელმა ორგანომ მაინც გააკრიტიკა „რუსთავი 2“-ის ეს გადაწყვეტილება, რადგან, მათი მოსაზრებით, არსებობდა პოტენციური საფრთხე, რომ ეს ქმედება რეგიონულ მაუწყებლებს მნიშვნელოვნად შეუმცირებდა ფასიანი რეკლამებიდან მიღებულ შემოსავლებს.

რომლითაც ყველა კანდიდატს მიეცა პლატფორმა საკუთარი შეხედულებების წარდგენისთვის. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა საკუთარ მთავარ გამოშვებაში თითოეულ კანდიდატთან ინტერვიუებს დამატებით 10 წუთი დაუთმო.

მედიის მარეგულირებელმა ორგანომ, საქართველოს ეროვნულმა კომუნიკაციების კომისიამ (GNCC), ყოველთვის ვერ შეძლო გამჭვირვალე და მიუკერძოებელი როლის შესრულება არჩევნების პერიოდში მედიის მეთვალყურეობის კუთხით.⁵⁶ კამპანიის დროს ეროვნულმა კომუნიკაციების კომისიამ (GNCC) რამდენიმე შემთხვევაში სანქციების დადების ინიციატივა გამოავლინა, თუმცა, მიღებული გადაწყვეტილებები ან კომუნიკაცია მაუწყებლებთან არ იყო გამართული საჯარო სხდომების ფორმატში და როგორც წესი არ ქვეყნდებოდა მის გვერდზე. კამპანიის პერიოდში კომისია მტრულად იყო განწყობილი გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ეჭვქვეშ აყენებდა რა მათ კვალიფიკაციასა და შეფასებებს⁵⁷.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ჩარჩო პოლიტიკური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობას ანიჭებს კანდიდატებს და არა მედიას, 25 სექტემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (GNCC) მაუწყებლებს მოსთხოვა ეთერიდან ამოეღოთ სამი ნეგატიური რეკლამა, რომლებიც „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ეს, კომისიის აზრით, მაუწყებლობის შესახებ კანონთან შეუსაბამო იყო⁵⁸. მოგვიანებით კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განმარტა, რომ მოთხოვნას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ტელევიზიების უმრავლესობამ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნა. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ მაუწყებელთა უმრავლესობა რეკლამების შინაარს გაშვებამდე რეგულარულად ამოწმებს. მათგან უმრავლესობამ ODIHR არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრებზე აღნიშნა, რომ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თავიდან აერიდებინათ კომუნიკაციების ეროვნული

⁵⁶ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაკვირვება აწარმოა უმსხვილეს მაუწყებლებზე და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გაზეთებზე, პირველი თვის შედეგების ამსახველი ანგარიში კი მხოლოდ 18 ოქტომბერს წარმოადგინა,

⁵⁷ საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ 14 სექტემბერს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშის შეფასებისას მათ დაკვირვებას „უვიცი მონიტორები“ უწოდა. 17 სექტემბერს კომისიამ გამოაქვეყნა პრეს-რელიზი, სადაც ადგილობრივი არასამთავრობოს ანგარიშს უწოდა „არაკვალიფიციური [...] რომელიც ახდენს კომისიის დისკრედიტაციას და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“.

⁵⁸ საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მოსაზრით რეკლამა, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს „მოლაღატედ“- მოიხსენებდა არ იყო ეთიკური, ასევე არაეთიკური იყო რეკლამა, რომელიც კანდიდატის მიერ გინების სცენას ასახავდა. კიდევ ერთ რეკლამაში, ერთ-ერთი თოკშოუს წამყვანმა კანდიდატს პოლიტიკური შინაარსის კითხვა დაუსვა რაც პოლიტიკური თოკშოუების წამყვანთა საარჩევნო რეკლამებში ჩართვის აკრძალვის შესახებ წესის დარღვევად ჩაითვალა.

კომისიის მხრიდან საქნციები.⁵⁹ 9 ოქტომბერს თავისუფალმა საქართველომ საჩივარი შეიტანა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში როდესაც რამდენიმე ტელეარხმა უარი თქვა მათი რეკლამის განთავსებაზე, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აღნიშნული რეკლამები კანონთან შესაბამისად მიიჩნია. 25 ოქტომბერს ეროვნულინკომუნიკაციების კომისია აღნიშნული მაუწყებლების მიმართ სანქციების დადების ინიციატივით გამოვიდა და ამ სატელევიზიო არხებზე რეკლამები არჩევნების დღემდე არ გასულა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ კანდიდატებს არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებისთვის სხვადასხვა „თოქ შოუების“, დებატების და ინტენსიური უფასო რეკლამების მეშვეობით. თუმცა, კამპანიის ღრმა ან ანალიტიკური გაშუქების ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მაუწყებლის პირველ არხზე, ამომრჩევლებს შეუძლებლად მიეწოდათ ის ინფორმაცია, რაც საჭირო იყო ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.⁶⁰ მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსის მიხედვით მედიას კამპანიის მიუკერძოებელი და სამართლიანი გაშუქება ევალებოდა, ძირითადი მედიასაშუალებების პოლარიზების გამო, მაყურებელს აზრის ჩამოყალიბებისთვის რამდენიმე მედია საშუალების გაცნობა უწევდა.

განსაკუთრებით, ტელეკომპანია „იმედი“ საკუთარ მთავარ გამოშვებაში მკაფიოდ უჭერდა მხარს „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, მაშინ როდესაც „რუსთავი 2“ ნათლად ემხრობოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, ხოლო მთავრობას, ქართულ ოცნებასა და მათ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს მკვეთრად აკრიტიკებდა.⁶¹ „რუსთავი 2“-ზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ნეიტრალური და პოზიტიური გაშუქების 22 პროცენტი დაეთმო, ხოლო ნეგატიური და ნეიტრალური გაშუქებიდან შესაბამისად 26 20 და 11 პროცენტი დაეთმო ქართულ ოცნებას და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს. ამის საპირისპიროდ ტელეკომპანია იმედმა საკუთარი ეთერის

⁵⁹ მედიისა და არჩევნების შესახებ 2009 წლის გაეროს სპეციალური წარმომადგენლის განცხადება „აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და ეუთოს წარმომადგენლის განცხადება „მედიის თავისუფლების შესახებ“ ([2009 Joint Statement on Media and Elections by the UN Special Rapporteur on Freedom of Opinion and Expression and the OSCE Representative on Freedom of the Media](#)) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მედია „ასევე თავისუფალი უნდა იყოს იმ ვალდებულებისგან, რომელიც პარტიების ან კანდიდატების მიერ პირდაპირ გაკეთებულ არაკანონიერი განცხადებების გავრცელებას ეხება. იქნება ეს პირდაპირი ტრანსლაცია თუ სარეკლამო რგოლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მსგავსი განცხადებები სასამართლოს შეფასებით არაკანონიერად იქნება მიჩნეული, ან თუ ეს განცხადებები შეიცავენ პირდაპირ მოწოდებებს ძალადობისკენ და მედია საშუალებამ არ გამოიყენა მათ გავრცელებისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობა.“

⁶⁰ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ (ODIHR EOM) 24 სექტემბერს დაიწყო საუკეთესო საეთერო დროს წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი მედია მონიტორინგი 6 მაუწყებლზე (საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხი“, ტელეკომპანია „აჭარა“, „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, ტელეკომპანია „პირველი“ და ტელეკომპანია „იბერია“)

⁶¹ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია, სოციალურ ქსელებზე აქტიურ კამპანიას აწარმოებდა „ქართული ოცნებისა“ და „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის წინააღმდეგ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დაპირება, რომელიც მან 5 ოქტომბერს დადო. მან თქვა, რომ „მოალატე სალომე დამარცხდება, შემდეგ კი მისი მომხრეების ჯერი დადგება“.

დაახლოებით ნახევარი დაუთმო ქართულ ოცნებას და ქ-ნ ზურაბიშვილს (32პროცენტი, ძირითადად ნეიტრალურ ტონში და 14 პროცენტი ძირითადად პოზიტიურ ტონში) მაშინ როდესაც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მთლიანად ნეგატიური და ნეიტრალური გამოქვების⁶² 15 პროცენტი დაეთმო.

ტელეკომპანია „იბერიას“ ახალი ამბების გამოშვებები ძირითადად მთავრობის და „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირების მაღალ-დონეზე კორუფციაში დადანაშაულებას დაეთმო, რომლებიც იბერიას დამფუძნებელი კომპანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ტელეკომპანია პირველმა უფრო ნეიტრალური და ფაქტებზე დაფუძნებული გამოქვება შესთავაზა მაყურებელს, ძირითადად მმართველი პარტიის და ქართული ოცნების მხარდაჭერილი კანდიდატის საქმიანობის შესახებ, რომელსაც შესაბამისად დაეთმო 25 და 9 პროცენტი ძირითადად ნეიტრალური ინფორმაციის, მაშინ, როცა

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თითოეული გამოქვების 14 პროცენტი მიიღო. ტელეკომპანია აჭარა მეტწილად ორიენტირებული იყო რეგიონალურ ღონისძიებებზე, მაყურებელს შესთავაზა შეზღუდული, თუმცა ნეიტრალური სივრცე კამპანიის საქმიანობებისთვის. ეს იყო ერთადერთი არხი, რომელმაც მაყურებელს შესთავაზა კანდიდატთა ზოგადი პლატფორმების შედარება. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ცდილობდა კანდიდატები ნეიტრალური ფორმით გაემუქებინა, თუმცა „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა“ და ტელევიზია „აჭარამ“ ბოლომდე ვერ შეძლო საზოგადო მანდატის შესრულება კანდიდატთა და პარტიის წარმომადგენელთა საქმიანობის მხოლოდ ზედაპირულად გამოქვების გამო⁶³.

საჩივრები და საარჩევნო

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო კვლავაც რთული და ზედმეტად შემზღუდავია. ახლახან განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებში არ მოხდა ODIHR-ს და ვენეციის კომისიის ბევრჯერ გაჟღერებული რეკომენდაციების გათვალისწინება საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემის გამარტივებასთან და გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებული წესების გაფართოების შესახებ⁶⁴. რეგისტრირებულ კანდიდატებს, ასევე აკრედიტებულ დამკვირვებლებს უმეტეს შემთხვევაში შეუძლიათ საჩივრის შეტანა, ხოლო ამომრჩევლებს საჩივრის შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ისინი არ არიან საარჩევნო სიაში, რაც

⁶² განსაკუთრებით 5 ოქტომბერს, როდესაც ტელეკომპანია „იმედმა“ ახალი ამბების გადაცემის პირდაპირ ეთერში 24 წუთი დაუთმო „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის სიტყვას, რომელიც მან ამომრჩევლებთან შეხვედრისას წარმოსთქვა, რასაც შემდეგ მიჰყვა მისი მხარდამჭერი, თბილისის ქმერის ხუთწუთიანი მიმართვა.

⁶³ მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებლები ვალდებული არიან „აუდიტორიას მიაწოდონ დროული და სათანადო ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ“.

⁶⁴ იხ. 2011 წლის ODIHR და ვენეციის კომისიის ერთობლივი მოსაზრების 111-112 პარაგრაფი საქართველოს საარჩევნო კოდექსის პროექტის შესახებ.

ეწინააღმდეგება ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10 პარაგრაფს, სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას⁶⁵.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დაჩქარებული წესით არის შესაძლებელი ერთი ან ორი კალენდარული დღის ვადაში. თუმცა, კამპანიის წესების დარღვევა განიხილება ზოგადი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების მიხედვით ცესკოს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა ან მათი მოადგილეების მიერ საჩივრის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებმა, ასევე სასამართლოებმა ამგვარი საჩივრების უმრავლესობა განიხილა არჩევნების დღემდე⁶⁶. თუმცა, ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებები, არ შეადგინოს ადმინისტრაციული ოქმი კამპანიის წესების დარღვევებზე, არ ექვემდებარება გასაჩივრებას რაც ზღუდავს სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას და წინააღმდეგობაში მოდის ეუთოს რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან.⁶⁷

ცესკოს მიერ წარმოებული საჩივრების ონლაინ რეესტრი დავების გადაწყვეტის გამჭვირვალობას ზრდის. დღევანდელი მონაცემებით საარჩევნო კომისიებში შევიდა 420 საჩივარი და ოთხი საქმე განიხილა სასამართლომ.⁶⁸ საჩივრების ძირითადი ნაწილი ეხებოდა კამპანიის წარმოების წესების დარღვევას ან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საუბნო და საოლქო კომისიების მიერ პროცედურულ დარღვევებს, საუბნო კომისიის წევრთა დანიშვნის ლეგიტიმურობის საკითხს და ასევე მათ არყოფნას საარჩევნო უბნებზე. აღნიშნული საჩივრებიდან 16 გადაწყდა მომჩივანის სასარგებლოდ, 21 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 143 მათგანი კვლავ განიხილვია.⁶⁹ დაახლოებით

⁶⁵ 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10 პარაგრაფის მიხედვით “ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური საშუალებები, რათა დაცული იყოს ფუნდამენტური უფლებები და კანონის მთლიანობა გაეროს ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის მე-8 მუხლის მიხედვით “ყველას აქვს უფლება სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალებები გამოიყენოს...”. ფუნდამენტური უფლებების დამრღვევი ქმედებების წინააღმდეგ” იხ. აგრეთვე ICCPR 2.3. (ა) მუხლი, რომლის მიხედვით, „ყველას, ვისი უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვევა, აქვს უფლება მიიღოს სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, იმის ა მიუხედავად იმისა დარღვევა ჩადენილია თუ არა იმ პირის მიერ, ვინც დარღვევის ჩადენის მომენტში სახელმწიფო ვალდებულებას ასრულებდა. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხების კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებები II.3.3.3. სექციის მიხედვით “ყველა კანდიდატს და ამორმჩეველს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შესაბამის ოლქში, აქვთ საჩივრის წარდგენის უფლება”.

⁶⁶ მათი უმრავლესობა შეეხებოდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას.

⁶⁷ საოლქო საარჩევნო კომისიებმა მსგავსი გადაწყვეტილებები 28 შემთხვევაში მიიღო, ცესკომ კი 10 შემთხვევაში, (მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით დაფიქსირებული შემთხვევების ჩათვლით) ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ მათთან საუბრებში საარსაარჩევნო პროცესში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარეების ერთ ნაწილს, არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა სარჩელებისა და საჩივრების პროცედურების და მათი ვადების შესახებ, მათ შორის, არ ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მათ შეეძლოთ გაესაჩივრებინათ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებმა არ შეედგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

⁶⁸ სასამართლო დაეთანხმა საოლქო საარჩევნო კომისიისა და ცესკოს გადაწყვეტილებებს 3 შემთხვევაში, ხოლო საჩივარი დააკმაყოფილა 1 ინსტანციაში.

⁶⁹ საოლქო საარჩევნო კომისიებ მიერ დაკმაყოფილებული საჩივრები საუბნო საარჩევნო კომისიების მცირე პროცენტულ დარღვევებს შეეხებოდა.

111 საჩივარი ტექნიკური გაუმართაობის ან არსებითი საფუძვლის ნაკლებობის გამო. საჩივრებისა და სარჩელების უმრავლესობა საარჩევნო ადმინისტრაციის და სასამართლოების მიერ იქნა განხილული გამჭვირვალე ფორმით და სამართლებრივ ვადებში, თუმცა რამდენიმე გადაწყვეტილების შემთხვევაში დაფიქსირდა სამართლებრივი დასაბუთების ნაკლებობა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან (ODIHR EOM) შეხვედრებისას პროცესში ჩაბმულმა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდობლობა გამოხატეს საჩივრების გადაწყვეტის სისტემის მიმართ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათშორისმა კომისიამომლის უფლებამოსილებას წარმოადგენს უზრუნველყოს სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან საარჩევნო დარღვევების თავიდან აცილება და რეაგირება, 28 საჩივარი განიხილა და 3 არასავალდებულო რეკომენდაცია გასცა, რომელთა მიზანს ადმინისტრაციული რესურსების, მათ შორის სოციალური მედიის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება წარმოადგენდა.⁷⁰ სამი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფმა და რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატმა გადაწყვიტა აღარ დასწრებოდნენ უწყებათა შორისი კომისიის სხდომებს, რადგან მათი განცხადებით, კომისია სათანადო რეაგირებას ვერ ახდენდა დარღვევებზე და აღნიშნული ორგანიზაციები მუდმივი კრიტიკის საგანი ხდებოდა.⁷¹ უწყებათაშორისი კომისიის პლატფორმა საჭირო საკითხების საჯარო განხილვის და საჩივრების შესაბამის უწყებებთან გადასაგზავნ ფორუმს წარმოადგენდა. ს მაგრამ კომისიის მიერ მის მანდატს მიღმა საჩივრების განხილვამ, საარჩევნო პროცესში ჩაბმული დაინტერესებული მხარეების მიერ აღქმულმა მიუკერძოებლობის ნაკლებობამ კომისიის მუშაობის ეფექტურობაზე იქონია გავლენა.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არჩევნების მთლიან პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. კოდექსში დეტალურად არის გაწერილი დებულებები მათი უფლებების და მოვალეობების შესახებ და აძლევს მათ საშუალებას საარჩევნო პროცესის თითოეულ ეტაპზე ჰქონდეთ წვდომა. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ახლა უკვე აქვთ უფლება ამომრჩეველთა სიის შემოწმების საარჩევნო პერიოდებს შორის, წარმოადგენს ODIHR-ს მიერ გაწეული რეკომენდაციის ნაწილობრივ განთავსებისწინებას დამკვირვებელთა უფლებების გაფართოების თვალსაზრისით. ცესკომ 73 ადგილობრივ (22,032 დამკვირვებელი) და 58 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას (1163 დამკვირვებელი) მიანიჭა აკრედიტაცია; აკრედიტაცია ასევე 95 მედია საშუალების წარმომადგენელმა 1957 ჟურნალისტმა მხარეთა ჩართულობის გზით მიიღო.

⁷⁰ უწყებათაშორისი კომისიაში შედიან მაღალჩინოსანი თანამდებობის პირები. ყველა პოლიტიკური პარტიას და დამკვირვებლებს აქვთ უფლება დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ უწყების სხდომებში. შემთხვევათა უმეტესობა შეეხებოდა ადმინისტრაციული რესურსის არამართებულ გამოყენების ფაქტებს, მათ შორის თანამდებობის პირთა მხრიდან სოციალურ მედიაში განთავსებულ ინფორმაციას, კამპანიის წარმოების წესების დარღვევებს, ძალადობის შემთხვევებს, მედიასაშუალებებით გასულ დაუბალანსებელ ინფორმაციას და გაყალბებული ხელმოწერების შემთხვევებს.

⁷¹ ესწრებოდნენ: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტებს და არჩევნების დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლები წარმოადგინეს, რამაც არჩევნების გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა არჩევნების პერიოდში შეინიშნებოდა დიალოგის გაუარესება სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას ასევე ცესკოს შორის. აგვისტოდან ოქტომბრამდე პერიოდში, რამდენიმე სახელმწიფო მოხელემ და მმართველი პარტიის მაღალჩინოსანმა წევრებმა მწვავედ გააკრიტიკეს ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები მათი განცხადებების გამო⁷². ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები ამგვარ კრიტიკას ხელისუფლების მხრიდან კოორდინირებულ თავდასხმად აფასებენ.

კენჭისყრის დღე

საარჩევნო უბნები, რომლებსაც ჩვენი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ ძირითადად დროულად გაიხსნა. მცირე დაგვიანებები შეინიშნა 37 შემთხვევაში, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ საჭირო იყო კანდიდატებისა და პარტიების წარმომადგენლების და ადგილობრივი დამკვირვებლების დიდი რაოდენობის რეგისტრაცია.⁷³ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) დამკვირვებლებმა უბნების გახსნა 154 უბნიდან 152 შემთხვევაში დადებითად შეაფასეს. ძირითადად პროცედურები დაცული იყო, მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა საუბნო კომისიის წევრებმა, უარი განაცხადეს წილყრაში მონაწილეობაზე, რომლის მიხედვითაც ფუნქციები უნდა დანაწილებულიყო. როგორც თვითონ აღნიშნეს, ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ მათ არ სურდათ გადასატანი საარჩევნო ყუთის წაღებაში მონაწილეობა, შესაბამისად მათ არცერთი ფუნქციის შესრულება არ დაეკისრათ. გარდა ამისა, საუბნო კომისიებმა 27 გახსნილი უბნიდან 21 შემთხვევაში ზუსტად ვერ დაასახელეს ან აღრიცხეს ამომრჩეველთა და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ხმის მიცემის პროცესი 98 პროცენტზე მეტ შემთხვევაში (რომლებსაც დამკვირვებლები დააკვირდნენ) დადებითად შეფასდა. რამდენიმე ნეგატიური შეფასება მეტწილად გამოწვეული იყო პარტიებისა და კანდიდატთა წარმომადგენლების მხრიდან (29 შემთხვევა), ადგილობრივი დამკვირვებლების მხრიდან (17 შემთხვევა), საუბნო კომისიების საქმიანობაში ჩარევით, ასევე მცდელობით (32 შემთხვევა) ზეგავლენა მოეხდინათ ამომრჩეველებზე, და ჯგუფური ხმის მიცემის შემთხვევებით (30 შემთხვევა). IEOM დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ პროცედურები იმ უბნების 97%-ზე მეტ შემთხვევაში რომლებსაც ისინი აკვირდებოდნენ მკაცრად იქნა დაცული.

უბნებზე ზედმეტი ხალხმრავლობა შეინიშნებოდა საარჩევნო უბნების 6 პროცენტზე მეტ შემთხვევაში. ამით შეიზღუდა დამკვირვებლების საშუალება დააკვირდებოდნენ საარჩევნო

⁷² პარლამენტის თავმჯდომარემ (2 ოქტომბერს), იუსტიციის მინისტრმა (24 ოქტომბერს) ცესკომ (21 აგვისტოს) და საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარემ (14 და 17 სექტემბერს) და მმართველი პარტიის მაღალჩინოსნებმა გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პროფესიონალიზმისა და მეთოდოლოგიის ნაკლებობის, ასევე პოლიტიკურად მოტივირებული განცხადებების და და პირადი მიზეზების გამო.

⁷³ ცესკომ დაარეგისტრირა პარტიების, კანდიდატებისა და საინიციატივო ჯგუფების 82,861 წარმომადგენელი.

პროცესებს საარჩევნო უბნებში დაფიქსირებული შემთხვევების 3 პროცენტში. მიუხედავად აღნიშნულისა, გამჭვირვალობა დადებითად შეფასდა დაკვირვების 98%-ზე მეტ შემთხვევაში. საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების არეალში მოქცეული საარჩევნო უბნების 27 პროცენტში აღინიშნა ადგილობრივი დამკვირვებლების და მედია საშუალებების წარმომადგენლების მხრიდან პარტიულ ინტერესებს დაფიქსირების შემთხვევები.⁷⁴

საარჩევნო დღეს დაკვირვების წარმოებამ დაადასტურა „კოორდინატორების“ პრაქტიკა, რომლებიც აგროვებდნენ ამომრჩეველთა სიებს, ვინც მხარს დაუჭერდა მათ კანდიდატს. რამდენიმე შემთხვევაში, პირები ან ჯგუფები საარჩევნო უბნების მახლობლად იმყოფებოდნენ ამომრჩეველთა სიებით და ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ამომრჩეველების გადაწყვეტილებაზე თუ ვისთვის მიეცათ ხმა და აღრიცხავდნენ თუ ვინ მისცა ხმა. აღნიშნულით გაიზარდა შეშფოთების რაოდენობა ბუნდოვანია, ჰქონდათ თუ არა ამომრჩეველებს შესაძლებლობა ხმა მიეცათ ძალადაუტანებისა და დასჯის შიშის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა გარკვეული თავისუფლად მისაწვდომი უბნები გამოყვეს, IEOM დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საარჩევნო უბნების 60 %-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დამოუკიდებლად უბანზე წდვომის საშუალებას არ აძლევდა. იმ ტერიტორიებზე, სადაც ეროვნული უმცირესობები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, მასალები წარმოდგენილი იყო უმცირესობების ენებზე ყველა შემთხვევაში გარდა 11 უბნისა 116 უბნიდან.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებმა 118-დან 104 უბანზე ხმების დათვლის პროცესი დადებითად შეაფასეს. ნეგატიური შეფასებები ძირითადად გამოწვეული იყო საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან პროცედურული დარღვევებით ან პროცესში ჩარევით. 16 საარჩევნო უბანზე, პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტების დ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები უძღვებოდნენ დათვლის პროცესს. 21 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა გამოუყენებელი ბიულეტენები, რომელთა გაუქმება არ მოხდა, ხოლო 19 საუბნო კომისიამ არ შეიყვანა მონაცემები ოქმში ბიულეტენების ყუთების გახსნამდე. ორივე შემთხვევა წარმოადგენდა მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმის უგულებელყოფას დათვლის დროს მანიპულაციების წინააღმდეგ. გარდა ამისა, კანონის მიხედვით გაწერილი გარკვეული პროცედურები დათვლის პროცესში ხშირად იქნა გამოტოვებული⁷⁵. საარჩევნო ბიულეტენები, რომლებსაც დამატებითი ნიშნები აღნიშნებოდა, ხშირ შემთხვევებში ჩაითვალა ვარგისად (42 შემთხვევა), რადგან აღნიშნული ქმედება არ არის აკრძალული.

⁷⁴ „ევროპული საქართველოს“ ან დავით ბაქრაძის ინტერესებს წარმოადგენდა - 30 %, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ან გრიგოლ ვაშაშის - 23 %, „ქართული ოცნების“ ან სალომე ზურაბიშვილის 25 % იმ საარჩევნო უბნებზე სადაც იმყოფებოდნენ დამკვირვებლები ხმის მიცემისას.

⁷⁵ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებიდან ხმის დათვლის ზედამხედველების ასარჩევად წილყრა არ განხორციელდა (22 შემთხვევაში) და პარტიების/კანდიდატთა წარმომადგენლებიდან, რომლებიც ხმის დათვლის პროცესს უნდა დახმარებოდნენ (23 შემთხვევა), საარჩევნო ბიულეტენების ყუთების შიგთავსი არ იქნა შერეული ხმის დათვლის პროცედურამდე (4 შემთხვევა) და თითოეული ბიულეტენის მიხედვით გაკეთებული არჩევანი არ იქნა ხმამაღლა გამოცხადებული (11 შემთხვევაში).

საუბნო საარჩევნო კომისიებს გაუჭირდათ შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენა (17 შემთხვევა) და ადრე შედგენილი ოქმები გადააკეთეს (8 შემთხვევა). საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები მიეწოდათ IEOM დაკვირვებლებს, თუმცა საუბნო კომისიებმა შედეგების შემაჯამებელი ხელმოწერილი ოქმები საჯაროდ არ გამოაქვეყნეს იმ უბნების მესამედში სადაც დამკვირვებლების იმყოფებოდნენ, რითაც შეიზღუდა გამჭვირვალობა.

IEOM დამკვირვებლებმა ეფექტურად, ეფექტიანად, მოწესრიგებულად და დადებითად შეაფასეს გადათვლის პროცესი, იმ საოლქო კომისიების 93 %-ში სადაც იმყოფებოდნენ.⁷⁶ IEOM დამკვირვებლებმა დააფიქსირეს მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები 7 საოლქო კომისიაში საარჩევნო მასალების შეტანა, და საუბნო კომისიებიდან მიღებული ოქმების დამუშავება ძირითადად გამჭვირვალედ ჩატარდა. დამაბულობა და არეულობა დაფიქსირდა 3 საოლქო კომისიაში, ხოლო პროცესის ჩაშლის მცდელობა 1 საოლქო კომისიაში.

საოლქო საარჩევნო კომისიებში 420-ზე მეტი საჩივარი შევიდა საარჩევნო დღესთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც აღინიშნებოდა პროცედურული დარღვევები საუბნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გადანაწილებისას, ხმის მიცემის/მარკირების პროცედურების დარღვევები, ასევე საარჩევნო უბნების მიმდებარედ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შემთხვევები. ყველა ზემოთხსენებული საჩივარი განხილვამია. საჩივრების უმრავლესობა წარმოადგინა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA). შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაცხადებულ დარღვევებზე 29 რეპორტი შეადგინა, მათ შორის იყო ფიზიკური ძალადობა, თავდასხმა, საარჩევნო მასალების დაზიანება, 7 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო⁷⁷.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.*

ინფორმაცია მისიის შესახებ & სამადლობელი სიტყვა

2018 წლის 29 ოქტომბერი - წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ნატოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის (EP) ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. არჩევნების შეფასების მიზანს წარმოადგენდა ეუთოს ვალდებულებებსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ასევე დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა..

⁷⁶ IEOM დამკვირვებლები ხმების გადათვლის პროცესს დააკვირდნენ ერთის გარდა ყველა საოლქო კომისიაში.

⁷⁷ ბათუმში, მარნეულში, კასპში, სამტრედიასა და ახალციხეში.

ეუთოს თავმჯდომარის მიერ ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ლიდერად და საგანგებო კოორდინატორად კრისტიან ვიგენინი დაინიშნა. მარგარეტა სერდერფელტი კი ეუთოს საპარლამენტო დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას (PACE) ხელმძღვანელობდა ანდრეი ჰუნკო, ევროპარლამენტის დელეგაციას ლაიმა ანდრიკიენე, ხოლო ნატოს საპარლამენტო ასამბლეს კი რასა იუკნევიჩიენე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომელიც 19 სექტემბერს გაიხსნა, ელჩი გერტ-ჰინრიხ აპრენსი ხელმძღვანელობს.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში ჩართული ყველა ინსტიტუცია (IEOM) მხარს უჭერს არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო პრინციპების 2005 წლის დეკლარაციას. წინამდებარე დოკუმენტი წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ქვეყნდება. არჩევნების საბოლოო შეფასება დამოკიდებული იქნება, ნაწილობრივ, საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების ჩატარებაზე, მათ შორის, ხმების დათვლის, გადათვლისა და შედეგების გამოცხადების, ასევე, სავარაუდოდ, არჩევნების დღის შემდეგ შემოსული საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ODIHR გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ზამთრის სხდომაზე ვენაში 2019 წლის 22 თებერვალს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშს წარმოადგენს პლენარულ სხდომაზე სტრასბურგში 2019 წლის იანვარში. ევროპარლამენტი საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ბრიფინგზე. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს წარმოადგენს ყოველწლიურ სხდომაზე ჰალიფაქსში, კანადაში 2018 წლის 18 ნოემბერს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დედაქალაქში წარმოდგენილი 14 ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით გადანაწილებული 28 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება. არჩევნების დღეს 40 ქვეყნის წარმომადგენელი 400 დამკვირვებელი, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 284 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი და ასევე 56-წევრიანი ეუთოს საპარლამენტო დელეგაცია, და 31-წევრიანი ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია, 17-წევრიანი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, და 12-წევრიანი ევროპარლამენტის დელეგაცია ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდა. უბნების გახსნას ქვეყნის მასშტაბით 164, ხოლო ხმის მიცემის პროცესს 1520 საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ. ხმების დათვლას კი 119 საარჩევნო უბანზე, ხოლო ხმების გადათვლას 72 საოლქო საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ.

სადამკვირვებლო მისიის წევრებს სურთ მადლობა გადაუხადონ ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე თანამშრომლობისთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავს სხვა სახელმწიფო

ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- ODIHR სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ელზ გვერტ-ჰინრიხ არენსს თბილისში (+995 591 176476);
- ODIHR-ის სპიკერს ტომას რაიმერს (+48 609 522 266) ან ODIHR-ის მრჩეველს საარჩევნო საკითხებში ოლექსი ლიჩკოვასს, ვარშავაში (+48 601 820 410);
- ირინა საბაშუკს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (+45 60 10 81 73);
- ბოგდან ტორჩატორიუს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა PACE (+33 6 50 39 29 40);
- ჰენრიკ ბლიდალი, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (+32 475 752 725);
- კარლ მინერს, ევროპარლამენტი (+32 228 321 88).

ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

ვერცხლის ქ. #1, 0105 თბილისი

ტელ: +995 322 995 995

ელ-ფოსტა: office@odihreom.ge

ვებგვერდი: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/396326>